საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №189/ნ
2017 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ, №112, 26/09/2005) დანართი №2-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ:

1. სსიპ – ქალაქ თბილისის №35 საჯარო სკოლას შეეცვალოს მისამართი და მის მისამართად განისაზღვროს პეტრე ქავთარაძის ქუჩა N39;

2. სსიპ – ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლას შეეცვალოს მისამართი და მის მისამართად განისაზღვროს პეტრე ქავთარაძის ქუჩა №42;

3. სსიპ – ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლას შეეცვალოს მისამართი და მის მისამართად განისაზღვროს ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II გასასვლელი №2.

მუხლი 2

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) და ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის:

1. მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

3	ქალაქ თბილისის №35 საჯარო სკოლა	პეტრე ქავთარაძის ქუჩა №39	დაწ-საბ-საშ

“

2. მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

13	ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა	პეტრე ქავთარაძის ქუჩა №42	დაწ-საბ-საშ

“

3. მე-19 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

19	ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლა	ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II გასასვლელი №2	დაწ-საბ-საშ

“

მუხლი 3
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**